



ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი #43

09 ივნისი, 2020 წელი

15:00 საათი

(ჯანდაცვის კომისიის ოთახი)

ა/წ 09 ივნისს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე
2. ფრიდონ ინჯია;
3. მიხეილ ამაშუკელი;
4. ნინო ლაცაბიძე;
5. თამარ ტალიაშვილი;
6. ვლადიმერ ძნელაძე;
7. ლილე ლიპარტელიანი;
8. გიორგი მუსხელიშვილი.

მოწვეული სტუმრები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. („დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი” -ს (დანართი №1) ცვლილება)

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილის ინფორმაცია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილების ცვლილების შესახებ.

კერძოდ, ცვლილება შედის აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „„უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ (კოდი: 06 02 06 01) და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ (კოდი: 06 02 06 01) ქვეპროგრამის განხორციელების წესსა“ და ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“ (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესში“ (დანართი N6) . ცვლილებების თანახმად, გარდამავალი დებულებების სახით წესებში აისახა, ქვეპროგრამების განმახორციელებელის უფლებამოსილება, ერთჯერადად 2020 წლის მარტში, აპრილში მაისსა და ივნისში, მიმწოდებლის სტატუსის მქონე დაწესებულებებზე, გასცეს ამავე თვეებში ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურების გაცემისათვის ავანსი, რომელიც თითოეულ თვეში შეადგენს მიმწოდებლის მიერ 2020 წლის თებერვალში წარმოდგენილი ასანაზღაურებელი შემთხვევების ფულადი ოდენობის 100%-ს, გარდა ამისა, ცვლილების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება, მიღებული ავანსის მოცულობის შესაბამისად.

ქვეპროგრამების მიმწოდებლები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად აღიარებული ახალი კორონავირუსისა და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გაუწიონ მომსახურება ბენეფიციარებს და შესაბამისად, მიიღონ ქვეპროგრამის განმახორციელებლისგან შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, რაც თავის მხრივ ზღუდავს დაწესებულებებს გასცენ ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურება.

აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს ქვეპროგრამის გამართული მუშაობის უზრუნველყოფასა და მიმწოდებლებთან შემდგომი თანამშრომლობის ხელშეწყობას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილმა აგრეთვე განმარტა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში შესატანი ცვლილებები.

კერძოდ, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში. კერძოდ ახალი რედაქციით მტკიცდება აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი (შემდგომში წესი).

წესის მოქმედ რედაქციასთან მიმართებით წარმოდგენილი პროექტით იცვლება ის, რომ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტის - პროსტატის კიბოს მართვა 50-70 წლის ასაკის ჩათვლით მამაკაცებში გათვალისწინებული მომსახურების მიღება მოსარგებლებებს შეუძლიათ მხოლოდ ოჯახის ექიმის ან შესაბამისი სპეციალისტის მიმართებით, რაც განპირობებულია იმით, რომ

აღნიშნული კომპონენტი წარმოადგენს არა სკრინინგს, არამედ დაავადების მართვას, აღნიშნული ცვლილების შედეგად კი, მომსახურება შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ აღნიშნული პროგრამასთან.

წარმოდგენილ რედაქციაში ჩნდება ახალი ტერმინი „ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებელი“ და შესაბამისად წესი მოიცავს აღნიშნული მიმწოდებლისათვის დადგენილ სტანდარტებსა და აწესებს მისი მუშაობის სპეციფიკას. კერძოდ, ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებელი შეიძლება იყოს ძუძუს კიბოს სკრინინგის ფარგლებში დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ბიოფსიური მასალის აღებას და ციტოლოგიურ კვლევას. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ფარგლებში დაწესებულება, რომელიც განახორციელებს პაპ-ტესტის (PAP-ტესტი) ჩატარებას ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით, კოლპოსკოპიისას ბიოფსიური მასალის აღებასა და ჰისტოლოგიურ კვლევას, კოლორექტული კიბოს სკრინინგის ფარგლებში კი დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს კოლონოსკოპიისას ბიოფსიური მასალის აღებასა და ჰისტოლოგიურ კვლევას. აღნიშნული მანიპულაციების ჩატარებისათვის, ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის უფლება გააჩნია მხოლოდ იმ ლიცენზირებულ ლაბორატორიებს, რომლებსაც წინა წლის განმავლობაში ჩატარებული აქვთ არანაკლებ 6 ათასი ციტოლოგიური კვლევა ან წარმოადგენს საუნივერსიტეტო ლაბორატორიას - როგორც ციტოპათოლოგიური მიმართულების სასწავლო ბაზა). ამასთან ზემოაღნიშნულმა მიმწოდებელმა ციტოლოგიური კვლევები აუცილებლად უნდა განახორციელოს საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ხოლო ჰისტო-მორფოლოგიური კვლევა შეუძლია განახორციელოს ქვეკონტრაქტორი ლაბორატორიის მეშვეობით.

ძუძუს, საშვილოსნოს ყელის და კოლორექტული კიბოს სკრინინგის კომპონენტების მიმწოდებლად რეგისტრაციის მსურველი დაწესებულებები კი ვალდებული არიან წინასწარ ჰქონდეთ ხელშეკრულება გაფორმებული შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების ჩატარების შესახებ, ზემოაღნიშნულ ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებლებთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიმწოდებელი თავად არის რეგისტრირებული განმახორციელებელთან ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებლად.

წესი ასევე განსაზღვრავს, რომ ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებლად, გარდა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტისა და ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებლისა განისაზღვრება პირი, რომელიც ერთიანად გამოთქვამს ძუძუს, საშვილოსნოს ყელისა და კოლორექტული კიბოს სკრინინგის კომპონენტების მიმწოდებლად რეგისტრაციის სურვილს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას არ გააჩნია რომელიმე კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ან/და სამედიცინო პერსონალი, ან/და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა შესაბამისი საქმიანობაში, ან/და მაღალი რისკის შემცველი საქმიანობების შესახებ სავალდებულო შეტყობინებათა რეესტრში რეგისტრაცია, რაზედაც დაწესებულების ხელმძღვანელი წარმოადგენს წერილობით დასაბუთებულ დასტურს. ხოლო, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტის მიმწოდებლად რეგისტრაცია შეუძლია მხოლოდ 2019-2020 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებულ დაწესებულებას, რომელიც აკმაყოფილებს ამავე წესით დადგენილ მიმწოდებლად რეგისტრაციის პირობებს. ამასთან, გარდა აღნიშნული კომპონენტისა, ასევე გამოთქვამს ძუძუს, საშვილოსნოს ყელისა და კოლორექტული კიბოს სკრინინგის კომპონენტების მიმწოდებლად რეგისტრაციის სურვილს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას არ გააჩნია რომელიმე კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ან/და სამედიცინო პერსონალი, ან/და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა შესაბამისი საქმიანობაში, ან/და დამატებითი სანებართვო პირობები, ან/და მაღალი რისკის შემცველი საქმიანობების შესახებ სავალდებულო შეტყობინებათა რეესტრში რეგისტრაცია, რაზედაც დაწესებულების ხელმძღვანელი სარეგისტრაციო დოკუმენტებთან ერთად წარმოადგენს წერილობით დასაბუთებულ დასტურს.

ასევე ცვლილებები შედის ანგარიშგების მუხლში, რომლის თანახმადაც ერთმანეთისგან იმიჯნება სხვადასხვა კომპონენტის შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრაციის ვადები, კერძოდ, ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატისა და კოლორექტული კიბოს კომპონენტების შემთხვევაში შესრულებულ მომსახურებად ჩაითვლება საანგარიშგებო თვეში მოსარგებლისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა. ამასთან, გაწეული მომსახურებისას, შემთხვევა ელექტრონულ პროგრამაში უნდა დაიხუროს რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 3 თვის განმავლობაში. ხოლო, თუ ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიღებისას, ბენეფიციარისათვის დადგა ქვეპროგრამით გათვალისწინებული დამატებითი კვლევების ჩატარების საჭიროება, ბენეფიციარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მომსახურება ჩაითვლება დასრულებულად რეგისტრაციიდან 3 თვის გასვლის შემდგომ, არაუგვიანეს თვის ბოლო რიცხვისა. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტის კომპონენტის შემთხვევაში, შესრულებულ მომსახურებად ჩაითვლება საანგარიშგებო თვეში მოსარგებლისათვის სრულად გაწეული მომსახურების მოცულობა. ამასთან, თუ მომსახურების მიღებისას, ბენეფიციარისათვის დადგა ქვეპროგრამით გათვალისწინებული დამატებითი კვლევების ჩატარების საჭიროება, ბენეფიციარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მომსახურება ჩაითვლება დასრულებულად მომსახურების დაწყებიდან 3 თვის გასვლის შემდგომ, იმავე თვეში.

წესში წარმოდგენილ ცხრილში, რომელიც ასახავს მომსახურების დასახელებასა და მის ფასს, მომსახურებები ჩაიშალა კომპონენტების მიხედვით, როს შესაბამისადაც აისახა თითოეული კომპონენტის ღირებულება.

წარმოდგენილი პროექტით ასევე შედის ცვლილება მიმწოდებლისთვის დადგენილ დამატებით პირობებში, კერძოდ, დადგინდა, რომ ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატისა და კოლორექტული კიბოს კომპონენტის ფარგლებში მიმწოდებლად რეგისტრირებულ დაწესებულებებს შეუძლიათ მომსახურება მიაწოდონ მოსარგებლეს, როგორც კონტრაქტორის ან/და საკუთარი ფილიალის მეშვეობით. ასევე, მობილური გუნდის მეშვეობით, გარდა ძუძუს ფიზიკალურ გასინჯვას და მამოგრაფიულ გამოკვლევას, 2 პროექციაში და საშვილოსნოს ყელის დათვალიერებას და პაპ-ტესტის (PAP-ტესტი) ჩატარებას ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით, რომელიც აუცილებლად უნდა განახორციელოს საკუთარი მატერიალურ ტექნიკური ბაზით, ან/და მობილური გუნდის მეშვეობით.

ასევე დაკონკრეტდა, რომ მიმწოდებლად რეგისტრაციისთვის აუცილებელია დაწესებულებას გააჩნდეს შესაბამისი ქვეკომპონენტით განსაზღვრული მომსახურების განახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე ჰყავდეს ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მოცულობის განხორციელებისათვის საჭირო უმაღლესი განათლების მქონე სამედიცინო პერსონალი, რომელიც სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დადგინდა, რომ ძუძუს კიბოს სკრინინგის კომპონენტის მიმწოდებელმა დაწესებულებამ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურება, რომელიც გულისხმობს ძუძუს ფიზიკალურ გასინჯვასა და მამოგრაფიულ გამოკვლევას უნდა განახორციელოს საკუთარი მატერიალურ - ტექნიკური ბაზით. ხოლო საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის მიმწოდებელმა საშვილოსნოს ყელის დათვალიერება და პაპ-ტესტის ჩატარება უნდა განახორციელოს საკუთარი მატერიალურ ტექნიკური ბაზით, ან/და მობილური გუნდის მეშვეობით.

პროექტის თანახმად, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება, რომელიც გულისხმობს კოლპოსკოპიისას ბიოფსიური მასალის აღებასა და ჰისტოლოგიურ კვლევას უნდა განახორციელოს სამედიცინო პერსონალით, რომელსაც აქვს კოლპოსკოპისტად მუშაობის მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება, რაც დასტურდება დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი ინფორმაციით. ასევე, გავლილი აქვს დადგენილი წესით აკრედიტებული კოლპოსკოპიის შემსწავლელი კურსი (მაგ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების პროფესიული

რეაბილიტაციის პროგრამა „კოლპოსკოპია“ (ერთოვანი კურსი), ან/და უწყვეტი სამედიცინო განათლების მოკლევადიანი ტრენინგი „კოლპოსკოპია“ (ორკვირიანი კურსი)) ან/და კოლპოსკოპიის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის IFCPC-IARC ტრენინგ კურსი, ან/და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას აღნიშნული კურს(ებ)ის ფარგლებში; ან/და აქვს პროფესიული საზოგადოების (მაგ: საქართველოს საშვილოსნოს ყელის პათოლოგიის და კოლპოსკოპიის საზოგადოება, საქართველოს კოლპოსკოპიის ასოციაციის) მიერ გაწეული რეკომენდაცია კოლპოსკოპიური კვლევის ჩატარებაზე.

აღნიშნული წესი ასევე ადგენს ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებლისათვის დამატებით პირობებს, რომლის თანახმადაც იგი ვალდებულია განმახორციელებელს, სარეგისტრაციო განაცხადთან ერთად წარუდგინოს დაწესებულების ოფიციალურ ბლანკზე ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული ცნობა წინა საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჩატარებული ციტოლოგიური კვლევების რაოდენობის თაობაზე, შესაბამისი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, ხოლო თუ დაწესებულება ჰისტოლოგიურ კვლევას ახორციელებს ქვეკონტრაქტორის მეშვეობით, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ქვეკონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, ქვეკონტრაქტორი დაწესებულების შესაბამისი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, გარდა ამისა, რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში განმახორციელებელს წარუდგინოს ამავე პროგრამის სხვა ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, რანდომიზებულად შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ამოღებული საკვლევი მასალების მინიმუმ 10%-ის გადამოწმების მიზნით, ასევე უზრუნველყოს საკვლევი მასალების შენახვა მინიმუმ 5 წლის მანძილზე, უზრუნველყოს შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებიდან საკვლევი მასალების ტრანსპორტირება არანაკლებ კვირაში ერთხელ. ასევე, უზრუნველყოს საკვლევი მასალის წამოღებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში ელექტრონულ პროგრამაში შესაბამისი მონაცემების შეტანა. ხოლო, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტის მიმწოდებელი/მისი კონტრაქტორი ვალდებულია ბიოფსიური მასალის აღებასა და ციტოლოგიურ კვლევებზე აწარმოოს ხარისხის გარე კონტროლი საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ან/და საერთაშორისო აკრედიტირებული ლაბორატორიის მეშვეობით.

წესის გარდამავალი დებულებების თანახმად, კი 2020 წლის 1 თებერვლამდე დაწყებული მომსახურება, რომელიც საჭიროებდა ამ წესით გათვალისწინებულ დამატებით კვლევებს და დასრულდა 2020 წლის 1 თებერვლის შემდეგ, ანაზღაურდეს 2020 წელს მოქმედი წესის შესაბამისად, ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში. 2020 წლის 1 თებერვლიდან მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული დაწესებულებებისათვის აღნიშნული სტატუსი ავტომატურად გრძელდება 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით. 2020 წლის 1 თებერვლიდან მიმწოდებლად რეგისტრირებული დაწესებულების მიერ 2020 წლის 1 ივნისამდე დაწყებული მომსახურება, რომელიც საჭიროებდა ამ წესით გათვალისწინებულ დამატებით კვლევებს და დასრულდა 2020 წლის 1 ივნისის შემდეგ, ანაზღაურდეს 2020 წლის 1 ივნისამდე მოქმედი წესის შესაბამისად, ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში. დაწესებულებას, რომელიც 2020 წლის 1 თებერვლიდან 1 ივნისამდე დარეგისტრირდა მხოლოდ ფარისებრი ჯირკვლის კიბოს კომპონენტის მიმწოდებლად და განმახორციელებელთან წარადგენს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილ წერილობით დასტურს ქვეპროგრამის დანარჩენ კომპონენტებში მონაწილეობის მისაღებად პირობების დაუკმევოფილებლობის თაობაზე, არ საჭიროებს ხელახალ რეგისტრაციას და 1 ივნისიდან უგრძელდება მიმწოდებლად რეგისტრაცია ახალი განაცხადის წარდგენის გარეშე, ახალი პირობების შესაბამისად.

აღნიშნული ქვეპროგრამების დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით.

საკითხის წარმომდგენმა ითხოვა ზემოთაღნიშნული დადგენილებაში გათვალისწინებული იქნას ჩემდეგი სახის ცვლილებები: მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში დაკონკრეტდეს იმ

კომპონენტის ჩამონათვალი რომელთაც არ გააჩნიათ ვალდებულება გააფორმოს ხელშეკრულება ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებელთან და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლად (შემდგომში მომსახურების მიმწოდებელი) რეგისტრაციისთვის (გარდა მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურებისა) სამედიცინო დაწესებულებას, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“, „ბ.ა.“, „ბ.გ“ და „დ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ლაბორატორიულ კვლევებზე წინასწარ უნდა ჰქონდეს გაფორმებული ხელშეკრულება ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებელთან (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად არის რეგისტრირებული განმახორციელებელთან ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებლად) ან წარმოადგინონ აღნიშნული ხელშეკრულება არაუგვიანეს განაცხადის შემოტანიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში დაემატოს ტერმინი აღნიშნული კომპონენტის მიმწოდებლად რეგისტრირებული დაწესებულება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დ) ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტის მიმწოდებლად რეგისტრაცია შეუძლია მხოლოდ 2019-2020 წელს აღნიშნული კომპონენტის მიმწოდებლად რეგისტრირებულ დაწესებულებას, რომელიც აკმაყოფილებს ამავე წესით დადგენილ მიმწოდებლად რეგისტრაციის პირობებს. ამასთან, გარდა მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპონენტისა, ასევე გამოთქვამს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კომპონენტების მიმწოდებლად რეგისტრაციის სურვილს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას არ გააჩნია რომელიმე კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ან/და სამედიცინო პერსონალი, ან/და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა შესაბამის საქმიანობაში, ან/და დამატებითი სანებართვო პირობები, ან/და მაღალი რისკის შემცველი საქმიანობების შესახებ სავალდებულო შეტყობინებათა რეესტრში რეგისტრაცია, რაზედაც დაწესებულების ხელმძღვანელი სარეგისტრაციო დოკუმენტებთან ერთად წარმოადგენს წერილობით დასაბუთებულ დასტურს.

მე-3 მუხლის მეოთხე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტში შესწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) ქვეპროგრამის მიმწოდებლად რეგისტრაციის საკუთარი სურვილით გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია, აცნობოს განმახორციელებელს აღნიშნულის თაობაზე 2 თვით ადრე. ამასთან, მიმწოდებელი ვალდებულია დაასრულოს ქვეპროგრამით აღებული ვალდებულებები, ქვეპროგრამის ფარგლებში, რეგისტრირებულ მოსარგებლებებთან მიმართებით.

გ) ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემოწმების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე განმახორციელებელი უფლებამოსილია მომსახურების მიმწოდებელს წერილობითი შეტყობინებით გაუუქმოს ქვეპროგრამაში რეგისტრაცია;

მე-5 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი დაკონკრეტდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დ) სკრინინგის ჩატარება განმეორებითად სამედიცინო საჭიროებისას, ექიმის რეკომენდაციით, არაუმეტეს წელიწადში ორჯერ, გარდა მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურებისა, რომელიც არ ექვემდებარება განმეორებით სკრინინგს.

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში შესწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

3. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ფარგლებში, შესრულებულ მომსახურებად ჩაითვლება საანგარიშგებო თვეში მოსარგებლისათვის სრულად გაწეული მომსახურების მოცულობა. ამასთან, თუ მომსახურების მიღებისას, ბენეფიციარისათვის დადგა ქვეპროგრამით გათვალისწინებული დამატებითი კვლევების ჩატარების საჭიროება, ბენეფიციარის

გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მომსახურება ჩაითვლება დასრულებულად ბოლო კვლევის ჩატარებიდან 3 თვის გასვლის შემდგომ, არაუგვიანეს თვის ბოლო რიცხვისა.

მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი დაკონკრეტდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით

4. მიმწოდებელმა ქვეპროგრამის განმახორციელებელს უნდა წარუდგინოს საანგარიშგებო დოკუმენტაცია, მომსახურების მიწოდების დასრულების თვის მომდევნო 3 თვის განმავლობაში, არაუგვიანეს თვის 10 რიცხვისა. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ წარმოდგენილი შესრულება ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

მე-7 მუხლში მოცემულ ცხრილში შესწორდეს ტექნიკური ხარვეზი და „პროსტატის კიბოს სკრინინგი“-ს ნაცვლად იკითხებოდეს „პროსტატის კიბოს მართვა“

ცხრილი №1

3.	პროსტატის კიბოს მართვა – სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის (PSA) გამოკვლევა	9
----	---	---

მე-8 მუხლის პირველ და მეორე პუნქტში შესწორდე ტექნიკური ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. მომსახურების მიმწოდებელმა ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ქვეპროგრამის მოსარგებლებს შესაძლოა ასევე მიაწოდოს კონტრაქტორის ან/და საკუთარი ფილიალის მეშვეობით. ამასთან, „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურება შეუძლია მიაწოდოს, ასევე, მობილური გუნდის მეშვეობით.

2. წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიმწოდებელი/მიმწოდებლის კონტრაქტორი დაწესებულება/მიმწოდებლის ფილიალი/მობილური გუნდი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის გ.ბ.ბ ქვეპუნქტში სამედიცინო პერსონალის გამოცდილებას დაემატოს პედაგოგიური საქმიანობა კლინიკურ ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.ბ.ბ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება უნდა განახორციელოს სამედიცინო პერსონალით, რომელსაც აქვს კოლპოსკოპისტად მუშაობის მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება, რაც დასტურდება დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი ინფორმაციით. ასევე, გავლილი აქვს დადგენილი წესით აკრედიტებული კოლპოსკოპიის შემსწავლელი კურსი (მაგ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამა „კოლპოსკოპია“ (ერთთვიანი კურსი), ან/და უწყვეტი სამედიცინო განათლების მოკლევადიანი ტრენინგი „კოლპოსკოპია“ (ორკვირიანი კურსი)) ან/და კოლპოსკოპიის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის IFCPC-IARC ტრენინგ კურსი, ან/და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას კლინიკურ ნაწილში აღნიშნული კურს(ებ)ის ფარგლებში; ან/და აქვს პროფესიული საზოგადოების (მაგ: საქართველოს საშვილოსნოს ყელის პათოლოგიის და კოლპოსკოპიის საზოგადოება, საქართველოს კოლპოსკოპიის ასოციაციის) მიერ გაწეული რეკომენდაცია კოლპოსკოპიური კვლევის ჩატარებაზე;

ხოლო, ე.ა ქვეპუნქტში შესწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ტერმინი „მიმწოდებლის“ ნაცვლად იკითხებოდეს „დაწესებულება“,

ე.ა) განმახორციელებელს, სარეგისტრაციო განაცხადთან ერთად წარუდგინოს დაწესებულების ოფიციალურ ბლანკზე ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული ცნობა წინა საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჩატარებული ციტოლოგიური კვლევების რაოდენობის თაობაზე,

შესაბამისი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, ხოლო თუ დაწესებულება ჰისტოლოგიურ კვლევას ახორციელებს ქვეკონტრაქტორის მეშვეობით, დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს ქვეკონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, ქვეკონტრაქტორი დაწესებულების შესაბამისი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ვ ქვეპუნქტში დამატოს მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ვ) ქვეპროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიმწოდებელი/მისი კონტრაქტორი ვალდებულია „ე.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ლაბორატორიულ კვლევებზე აწარმოოს ხარისხის გარე კონტროლი საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ან/და საერთაშორისო აკრედიტირებული ლაბორატორიის მეშვეობით. ასევე, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ამავე პუნქტით განსაზღვრულ ლაბორატორიულ კვლევებზე აწარმოოს ხარისხის გარე კონტროლი საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ან/და საერთაშორისო აკრედიტირებული ლაბორატორიის მეშვეობით.

ხოლო, ამავე მუხლის მე-6 პუნქტში შესწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი/მისი კონტრაქტორი ან/და ფილიალი ან/და მობილური გუნდი ვალდებულია მოიპოვოს „მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან ფიზიკური პირის შესახებ პერსონალური მონაცემების გამოთხოვის/დამუშავების თაობაზე“ პაციენტის ინფორმირებული თანხმობა და განმახორციელებლის და/ან მე-7 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის შემმოწმებელი დაწესებულების მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას;

მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ნაცვლად მიეთითოს „დ“ ქვეპუნქტი და შესაბამისად გაგრძელდეს/შესწორდეს ნუმერაცია.

მე-9 მუხლი დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. 2019 წელს შესრულებული სამუშაო, რომელიც წარმოდგენილი იქნება 2020 წელს ანაზღაურდეს 2019 წელს მოქმედი წესის შესაბამისად, ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში.
2. 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით დაწყებული მომსახურება და შესრულებული სამუშაო ანაზღაურდეს ამ წესის ამოქმედებამდე მოქმედი რედაქციით.
3. ქვეპროგრამის მიმწოდებელად რეგისტრაციის მსურველმა დაწესებულებებმა, წესის ამოქმედების შემდეგ, რეგისტრაციისათვის უნდა წარადგინონ წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, ხოლო დაწესებულებას, რომელიც 2020 წლის 1 თებერვლიდან 1 ივნისამდე დარეგისტრირდა მხოლოდ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლად და განმახორციელებელთან წარადგენს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილ წერილობით დასტურს ქვეპროგრამის დანარჩენ კომპონენტებში მონაწილეობის მისაღებად პირობების დაუკმაყოფილებლობის თაობაზე, არ საჭიროებს ხელახალ რეგისტრაციას და 1 ივნისიდან უგრძელდება მიმწოდებლად რეგისტრაცია ახალი განაცხადის წარდგენის გარეშე, ახალი პირობების შესაბამისად.

წარმოდგენილი ცვლილებათა პაკეტი დადებითად შეაფასა და დაეთანხმა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0


კომისიამ დაადგინა

წარმოდგენილი პროექტები განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

 გიორგი ბირბიჩაძე